# ზერტი-კვარხეთის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია მალე დასრულდება

30 მარტი 2021

გორის მუნიციპალიტეტის სოფლების, ზერტისა და კვარხეთის დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურ ფაზაშია. სამუშაოებს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი ახორციელებს, რაზეც მილიონ ლარამდე იხარჯება. პროექტი 4 კმ-მდე გზის ასფალტირებას ითვალისწინებს. სამუშაოების მიმდინარეობას შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული მამუკა საღარეიშვილი გაეცნო. მისი თქმით, სამუშაოები უახლოეს პერიოდში დასრულდება და 560 ადგილობრივი მოსახლე ისარგებლებს განახლებული ინფრასტრუქტურით.